№ 84 აპრილი 19, შაბათი 1886 აპრილი 19, შაბათი № 84

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის სავაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია" 1 მაისიდამ წლის დამლევამდე ღირს 7 მან. 25 კაპ.

ტფილისი, 18 აპრილს

გაზეთებს თან-და-თან სტამბის წამლის სუნი აღარ ეტყობათ და უფრო თოფის წამლის სუნი ასდით. გადაათვალიერებ ერთს და ჩვეულებრივის სიამოვნების მაგიერ, ახლო მომავალში შესაძლებელის ომის ამბავის გამო შფოთსა ჰგრძნობ, ჰნახავ მეორეს,—ტანი სრულიად გეჯინჭრება, მესამეში ჩაიხედავ და, თითქო პანარამაში იხედებიო—თვალ-წინ აგეფარება საომარი ადგილი...

ნუ თუ მართლა ევროპა დღეს დიდის ომის მოლოდინშია?...

გერმანია და საფრანგეთი დიდის სიფრთხილით შესცქერიან ერთმანერთს, შორიდამ ჰზომავენ ერთმანერთის ძალას და დღედღეზედ ელიან იმ დროს, როცა ერთმანერთს კიდევ შეეჭიდებიან. აქამდე საფრანგეთი თითქო ჩუმად იყო, გულში იხვევდა და იქ იმარხავდა თავის სიძულვილს თავის დამმარცხებელის მიმართ, ელოდა დროს, როცა შურს იძიებდა, სამაგიეროს გადაუხდიდა, ელზასსა და ლორენს დაიბრუნებდა; ახლა გერმანიელები სწამობენ, რომ საფრანგეთი თავის ხვანჯს აღარ ჰმალავსო. სამხედრო მინისტრის ბულანჟეს უკან მიმყოლის ჩრდილის, ბ-ნის ბარტელემის წიგნი ამ საგანზედ ცხადი ნიშანია მოსალოდნელის ომისა გერმანიისა და საფრანგეთის შორისაო. რაც შეეხება გერმანიას, ეს ხომ, როგორც შეჰფერის დარბაისელ ნემეცების სახელმწიფოს, დიდი ხანია იკვლევდა ამ საგანს საჯაროდ და ვგონებთ ამ მოკლე ხანში თხუთმეტ ჯერ მაინც განიხილა სხვა-და-სხვა ჟურნალებისა და წიგნების შემწეობით,—საიდამ, როგორ და რა ძალით უნდა დავამარცხოთ მეორედ კიდევ ფრანგებიო. დღეს კიდევ სხვა ნიშანსა ვხედავთ გერმანიაში ომის მოახლოვებისას ამ ორს დიდს სახელმწიფოს შუა. ბერლინის ჟურნალ - გაზეთობა დღეს სულ იმაზე ლაპარაკობს... პარიჟში ნამყოფი ელჩი გერმანიისა, გრაფი მიუნსტერი დაბრუნდა თუ არა, სხვა-და-სხვა მითქმა-მოთქმა გაზეთებისა დაუსრულებელი შეიქმნა. ეგ იმ მიზეზით დააბრუნესო, რომ საფრანგეთში ძალიან ძლიერდება მტრობა გერმანიის მიმართო.

ავსტრიას რაღა უნდა, რომ ლანდშტურმის კანონ-პროექტის დამტკიცებას ითხოვს. ეტყობა ავსტრიაცა ჰგრძნობს, რომ საპოლიტიკო ცაზედ ღრუბლები აშლილია... ამ მიზეზით გადასწყვიტა, რომ სიფრთხილეს თავი არა სტკივაო. თვით ავსტრიის იმპერატორმა სთხოვა წარმომადგენელთა პალატას კანონ - პროექტი ლანდშტურმისა (ზურგის ჯარი მილიციისა) ჩქარა განიხილეთო და შეიწყნარეთო. ფრანც-იოსები საზოგადოდ არ ერევა ხოლმე პალატის საქმეებში და ახლა კი კანონ-პროექტი ისე შეუდგენინებია, რომ თვით იმპერატორს შეეძლოს და მინისტრთა რჩევის დათანხმებით მოუწოდოს ამ ზურგის ჯარს ლანდშტურმისას, როცა საჭირო იქნება. რეიხსრატს შეუწყნარებია ეს პროექტი, მაგრამ ასე შეუცვლია, რომ ლანდშტურმი მოიწოდებოდეს მხოლოდ მაშინ, თუ ან ომიანობა იქმნება, ან ომის მოახლოვების შიში ექმნება სახელმწიფოს. მეორეს მხრით პალატამ დაადგინა რომ, როგორც კი ომი გათავდეს, ან ომიანობის შიშმა გაიაროს, ლანდშტურმის ჯარის კაცნი დაუყოვნებლივ თავ-თავიანთ სახლში უნდა იქმნენ დათხოვილნიო. რადგანაც პალატამ შეიწყნარა ლანდშტურმის კანონ-პროექტი, რომლითაც ათი წელი ემატება სამხედრო სამსახურის ვადასა და საზოგადოდ ძალიან საძნელო კანონ-პროექტია, ეს გარემოება ბევრს რასმე მოასწავებს და უპირველესად ხომ იმას მოასწავებს, რომ ომია მოსალოდნელი ავსტრიისათვის. როცა მმართებლობამ წარუდგინა ეს კანონ-პროექტი წარმომადგენელთა პალატას, სთქვა, რომ ეს კანონი საჭიროა ავსტრიის დასახსნელადაო. მაშასადამე ამით, თუ პირ-და-პირ არა, გადაკვრით მაინც ისიცა სთქვა, რომ მოსალოდნელია ისეთი რამ საშიში გარემოება, რომელსაც შეუძლიან შეაძრწუნოს ავსტრიაო. გაზ. «Русскій Курьеръ»-მა რასაკვირველია იცის, რა გარემოებაა ეს საშიში გარემოება და ან საიდამ ელის ავსტრიას შიში, მაგრამ მაინც ამას ამბობს: ნეტავი ვიცოდეთ, სახელდობრ საიდამ მოელის ავსტრიას ასეთი შიშიო?

რაღა ვსთქვათ ოსმალეთზედ და ბალკანიის ნახევარ კუნძულის წვრილ სახელმწიფოებზედ... ჰავასის სააგენტო გვაუწყებს, რომ ხმა არის ვითომ ევროპის დიდნი სახელმწიფონი ამ ცოტას ხანში საბერძნეთს ახალს ნოტას წარუდგენენ და მოსთხოვენ, რომ ევროპის სურვილი გადაწყვეტილის ვადისათვის შეასრულეო.

ამ მხრივ საკვირველია ინგლისის მოქმედება. ინგლისმა აღარ დაუცადა სხვა დიდ სახელმწიფოებს და თავის განსაკუთრებული კაცი სასწრაფოდ გაგზავნა საბერძნეთს და თავისი ულტიმატუმი გაატანა საბერძნეთთან. იგივე «ჰავასის სააგენტო» ასე განმარტავს ამ გარემოებას: რუმელიის რევოლიუციის შემდეგვე, როცა ინგლისს ბოლგარიის მთავრის მხარე ეჭირა და პორტასთან შუამდგომლობდა ალექსანდრე მთავრისათვის, ინგლისმა იკისრა, რომ საბერძნეთს ნებას არ მივცემ, შენ ზღვაზე გეომოსო. ლორდ როზბერის ეხლა კიდევ განუმეორებია პორტასთვის ესევე, რადგან პორტას ცირკულიარი ჩივილისა მისვლია სხვათა-შორის ინგლისსაც. ცირკულიარში პორტა თურმე სთხოვს დიდს სახელმწიფოებს, ერთხელ კიდევ სცადეთ და თოფ-იარაღი აჰყრევინეთ საბერძნეთს, თორემ ოტტომანთა იმპერიას არ შეუძლიან 300,000 ჯარის კაცი ჰკვებოს საბერძნეთის სამზღვარზეო. თუ საბერძნეთი არ შეასრულებს თქვენს სურვილს, მე მაშინ ასე აღარ მოვიქცევიო. ამის გამო სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს ძალა დაეტანებინათ საბერძნეთისათვის, მაგრამ სწორედ ამ დროს ახირდა ბოლგარიის მთავარი, უვადოთ დანიშნეთ რუმელიის

ფელეტონი

უცხოთა შორის

სახლის ქირაობის კანონი პარიჟში.—ლონდონის მოძრაობა და მზადება გლადსტონის სიტყვის გასაგონად.—პარნელი და მისი გინაობა.—ბრედლო და უწინდელი მისი უწესოებანი პარლამენტში.—პასტერი და მისი ინსტიტუტი.—მის მოწინაამდეგნი, როშფორი და სხვანი.—ამერიკანელთა მეჯლისი პასტერის სასახელოდ.—სიტყვა ამერიკანელის ელჩისა.

—

პირველს აპრილს ყველა ქვეყნებში ჩვეულებად არის დადებული, რომ ერთმანეთი უნდა მოატყუონ: მხოლოდ პარიჟში უმრავლესი კაცთა რიცხვი, რომელთ სახელად უწოდებენ სახლის პატრონებს, დარწმუნებულნი არიან, რომ ამ დღეს სახლის მოქირავენი არ მოატყუებენ მათ და 12 საათამდე უთუოდ ქირას მიუტანენ. საკვირველი კანონი ჰსუფევს საფრანგეთის დიდ ქალაქებში. მთელის ქალაქის სახლების ქირის ვადა ერთს დღესა ჰთავდება. მაგალითად, პარიჟში სახლის დაჭერა (და არა ოთახისა) შეიძლება მხოლოდ 1 იანვარს, 1 აპრილს, 1 ივლისს და 1 ოქტომბერს და უსათუოდ კონდრაქტი უნდა დაიწეროს სამის წლითა, იმ პირობით, რომ შემდეგ მოქირავე თუ მოინდომებს კიდევ შეუძლიან განაახლოს პირობა სამის წლითა. ზემოხსენებულ თთვეთა გარე სხვა რიცხვით კონტრაქტი არ დაიწერება, და თუ სახლის პატრონმა ამ რიცხვისთვის დგმური შემდეგ იშოვნა, ვსთქვათ, მეორე დღესა, დგმურს შეუძლიან სამი თთვე უფასოდ იდგეს სახლში, მინამ მეორე «ვადა» (*terme*) არ მოვა. თუ მოქირავემ ვადაზედ—თორმეტ საათამდე სახლის პატრონს ქირა არ მიუტანა, ამ უკანასკნელს შეუძლიან მიჰმართოს ბოქაულს და იგი ვალდებულია ორ საათამდე ყოველივე მოძრავი ნივთი გაუყიდოს დგმურს «ტორგით». დგმურის მოძრავის ნივთების გასყიდვა მხოლოდ სახლის პატრონს შეუძლიან, სხვა მოვალეები ვერ შეეხებიან შინაურ ნივთეულებას!... ასეთი სასტიკი კანონი ჰსუფევს საფრანგეთში! ეს იმის შედეგია, რომ ევროპეულს ხალხს არ უყვარს «სავარაუდო» შემოსავალი, და როცა იგი იტყვის ამდენი და ამდენი მაქვს, ეს სწორედ ამდენია და მის შემოსავალს ვერც სეტყვა დასეტყვამს და ვერც ცეცხლი დასწვამს. როცა ევროპიელი იტყვის ამა და ამ დღეს ქირას მივიღებ ჩემის სახლისასაო, იგი დარწმუნებულია, რომ მიიღებს და არც მოსტყუვდება. ვადის გადაცილება, «შტრაფები», «ნეუსტოიკა»—ესე ყველა ამ დალოცვილებმა ჩვენ გვარგუნეს წილად!

⁂

ლონდონში დიდი თავის ტეხა იყო ბილეთების საშოვნელად, საზოგადო პალატაში, როცა გლადსტონს სიტყვა უნდა წარმოეთქვა. რადგანაც იმოდენა მთხოვნელნი იყვნენ ბილეთებისა, რომ ერთი მეასედიც ვერ დაეტეოდა, ამიტომ გლადსტონის სიტყვის მოსმენის მსურველთ წილი უყარეს და ისე დააკმაყოფილეს. თავის დღეში არავის ახსოვს ამისთანა შემთხვევა. ყოველივე საზოგადო საქმე შემდგარი იყო, თითქო გლადსტონის სიტყვა ირლანდიაზედ სამკურნალო წამალი იქნება მთელ ინგლისისათვის. წინათვე პარნელი და გლადსტონი მორიგებულან პროექტზე და დიდი იმედი თურმე ჰქონდათ, რომ საზოგადო პალატა მიიღებდა მათ პროექტს. ეხლანდელი ინგლისის საზოგადოების ყურადღება მიპყრობილია, არა გლადსტონზედ, როგორც საფიქრებელია, არამედ პარნელზედ, ეს არის ინგლისის «დღის ვაება». რას იტყვის პარნელი, რასა ჰფიქრობს, რას მოითხოვს—აი საგანი, რომელიც სუყველას ენაზედ ადგა, და საწყალს პარნელს გაზეთების რეპორტიორებისა და კორრესპონდენტებისაგან მოსვენება არა აქვს. მაგრამ ეს პატიოსანნი გვამნი ტყუილადა ჰკარგვენ დროსა, რადგანაც ამ შემთხვევაში პარნელი მუნჯია, «როგორც ლოქო» და კაცი სიტყვას ვერ ამოაღებინებს პოლიტიკაზედ.

ფერ-წასული, პატარა თვალებით, ვიწრო შუბლით, გამხდარი—პარნელი უფრო ამერიკანელია, ვიდრე ინგლისელი ანუ ირლანდიელი; დედა მისი იყო ამერიკანელ ადმირალის ქალი, და მამა ინგლისელი, რომელიც გარდასახლდა ირლანდიაში, ასე რომ განთქმულს ირლანდიის დამცველს ერთი წვეთი ირლანდიული სისხლი არც კი ურევია, სწავლა ბევრი არა მიუღია-რა, და მეხანიკა უყვარს ძალიან. კითხვითაც ბევრს არა კითხულობს, ერთ-ორ გაზეთს თუ, სხვა არასფერს, იგი მხოლოდ მაშინ არის ბედნიერი, როდესაც დროს იხელებს, შეიკეტავს ოთახში კარებს და მოჰყვება რაღაც მაშინების კეთებას. სულ რაღაც ახალი უნდა მოიგონოს, მაგრამ, როგორც ეტყობა, ვერ მოუხერხებია, რადგანაც მის მაშინებზედაც არა ისმის-რა. პალატაში პარნელი ბეჯითად დადის; კარგად და გასაგებად, მაგრამ ცოტა ხრინწიანის ხმითკი ჰლაპარაკობს, და ერთი კარგი ჩვეულება აქვს: არ უყვარს მეტი სიტყვაობა. საშინელი კერპი ხასიათისა თურმე არის, ასე რომ ამის კერპობაზედ შემდეგი მაგალითი მოჰყავთ: როდესაც პატარა პარნელი სკოლაში სწავლობდა, ერთს თავის ამხანაგთან ჩხუბი მოუვიდა და ისეთი მუშტი შემოჰკრა, რომ კინაღამ მოჰკლა. როდესაც სკოლის უფროსებმა ჰკითხეს პარნელს, რის მიზეზითა სცემე, რა დაგიშავაო, იგი გაჩუმდა და სიტყვა არ ამოიღო!.. სთქვი რამე, თავ-გასამართლებელიო, ეუბნებოდნენ, თორემ სკოლიდამ გამოგაგდებთო, მაგრამ პატარა პარნელმა მაინც ხმა-ამოუღებლობა იმჯობინა და სკოლიდგან გამოაგდეს.

⁂

პარლამენტის გაღების დროს აგრეთვე ბევრი ლაპარაკი იყო ერთს მის გამოჩენილს წევრზედ, სახელად ბრედლო. თუ მკითხველებს ახსოვსთ, ეს ბრედლო იმითია გამოჩენილი, რომ რამდენიმე წელიწადია არ ასრულებს პარლამენტის კანონს და ფიცს უარჰყოფს. პირველად, როდესაც წევრად ამოირჩიეს და პარლამენტის ახალ წევრთ ფიცი უნდა, ჩვეულებისამებრ, მიეღოთ, ბრედლომ გამოაცხადა, რომ ვერ დავიფიცავ სახარებაზედაო, რადგანაც ღმერთი არა მწამსო. ამ გვარი შემთხვევა კანონში არ იყო მხედველობაში მიღებული და არ იცოდნენ, რა ექნათ, მაინც გადასწყვიტეს, რომ უთუოთ უნდა დაიფიცოსო. ბრედლომ კიდევ უარი გამოაცხადა და მა-

გენერალ-გუბერნატორადაო და ამ საქმემ დააბრკოლა ევროპის ერთობილი მოქმედება საბერძნეთის მიმართო.. ახლა დიდმა სახელმწიფოებმა ნამდვილად გადასწყვიტეს, რომ სასტიკად იმოქმედონ საბერძნეთის წინააღმდეგ და მის ფლოტს სრულიად გზა შეუკრან და ნავთსადგურებში მოამწყვდიონ. საფრანგეთიც მიემხრო დიდს სახელმწიფოებს, მაგრამ წინდაწინვე ტკბილად და მეგობრულად ურჩია საბერძნეთს: ეხლა-გი დრო დადგა, რომ დასთმო ყველაფერი, რაც შეიძლება, და დაემორჩილო ევროპის ერთობილს სურვილსაო. ჩვენ ვიცით, ამ რჩევაზე რა სთქვა უკვე დელიანისმა, თუმცა იმაზე გი ჯერ დეპეშას ამბავი არ მოუტანია, დასთანხმდა, თუ არა საბერძნეთი, რომ 8 დღის განმავლობაში აიყაროს იარაღი და დაითხოვოს ჯარი.

ერთის მხრით ასეა, მაგრამ ოსმალოს გული მაინც არ ისვენებს და ჯერ კიდევ დარწმუნებული არ არის, რომ საქმე მშვიდობიანად გათავდება.

ამ დღეებში ხელ-ახლად დიდძალი ზარბაზნები შეუკვეთა ერთს ქარხანას და დაავალა, რომ 15 მაისამდე მზად უნდა იყოსო... ოსმალოს მმართებლობა ძალიან ფრთხილად იქცევა... ყველა გაზეთები, რომელნიც საბერძნეთში იბეჭდებიან, აღკრძალა მთავრობამ და არც ერთის შემოტანა ოსმალეთში არ შეიძლება თურმე.

ახალი ამბავი

⁂ ერთს ყმაწვილს კაცს ძალიან კარგი აზრი მოსვლია. მოგეხსენებათ ქართველებში, როგორც სხვა ხალხშიაც, გავრცელებულია ლოტოს თამაშობა. მეტადრე ქართველს მანდილოსნებს უყვართ და მოსწონთ ეს შესაქცევარი. უფრო მოსწონთ იმ მანდილოსნებს, რომელნიც რუსულზედ ცოტა უკაცრავად ბძანდებიან და უაზრო ჩვეულების ძალით ციფირების რაოდენობას ლოტოში ქართულად კი არ ამოიკითხავენ ხოლმე, რუსულად ამბობენ. ყველამ იცის, როგორ დასცინა თ. გიორგი ერისთავმა ამ უხამსს ჩვეულებას ქართველის ქალებისას. ლოტოს თამაშობის დროს ამ გვარ მანდილოსანთ შორის წამ-და-უწუმ ისმის: პეტ, ჩეტირ, დესიტ, პეტ-დესეტ-პეტ ტუდი-სუდი, დესეტნიკი ბერუა, დალაბანდი პალკა და სხვ. ამისთანები. აი ამ ჩვეულების მოსაშლელად ერთს ყმაწვილს ქართველს შეუდგენია ლოტო ახალის წესით, ლოტო ანდაზებით. ამ ლოტოში ციფირის მაგიერ ამოიკითხება პირველი ნახევარი ანდაზისა, ხოლო მეორე ნახევარი თვით ქაღალდზეა დაწერილი, იმ ქაღალდზე, რომელიც ურიგდება მოთამაშეებს. ვსთქვათ პარკიდამ ამოაქვს ვისმე ლოტოს ნომრები და ზედ სწერია: «სხვა სხვის ომში»... მოთამაშეთ ქაღალდზე უნდა იპოვნონ ამ ანდაზის ბოლო: «ბრძენიაო» და იქ დასვან ლობიო. ასე, ამ ნაირად არის შედგენილი ლოტო და ზოგან ანდაზების მაგიერ სწერია შესანიშნავი მოლექსეების ნათქვამი, ანდაზად გადაქცეული და საყოველთაოდ ცნობილი ადგილები, რასაკვირველია, ისევ ნახევრობით. რომ იტყვიან, სასარგებლოც არის და სასიამოვნოცაო, ამ გვარს ლოტოზე ითქმის. ამ გვარად შედგენილი ლოტოები ბევრია სხვა ქვეყნებში: არის ლოტო გეოგრაფიული, ისტორიული და სხვ.

ანდაზების ლოტო უკვე სრულიად მზადა აქვს შემდგენელს და მხოლოდ დაბეჭდვა და სქელ-ქაღალდზე დაკვრა უნდა. ლოტო პატარა ყუთებში იქნება ჩაწყობილიო და ყუთის თავზე დაბეჭდილი იქნება ყოველ-შემთხვევისათვის სრული ანდაზები, რომ, ვინიცობაა, ვერ მიხვდენ პირველ-ხანობაზე მოთამაშენი, ამ ფურცელში ჩაიხედონ ხოლმეო.

ლოტო ეღირება ყუთითა და ლოტოს ნომრების ერთის პარკით 1 მანათიო.

⁂ ამ ჟამად ტფილისში მშვენიერი დარები დგას. თუმცა ხან და ხან გათენებისას წვიმა დაჟინჟლავს ხოლმე, მაგრამ რამდენისამე საათის უკან გაზაფხულის ცხარე მზე ერთს წუთას აშრობს დედა-მიწას.

⁂ ახლო-მახლო სოფლებიდგან ჩამოსულის გლეხების სიტყვით, წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს თურმე.

⁂ თელავიდამ გვწერენ, რომ ბაკურის შემნახველ-დამზოგველის ამხანაგობის, ანუ ღვინოს საერთო კრება იყო აქ ამ ხანებშიო. ანგარიშით აღმოჩნდა, რომ 12,000 მან. საქონელი გაუყიდნია ღვინოს საანგარიშო წლის განმავალობაშიო. თავის ძირის ფულზე მოგება ჰქონია მანათზე 29 კაპეიკიო. სულ მოგება ყოფილა 350 მანათიო.

⁂ იქიდამვე გვწერენ: თელავის მაზრაში სხვათა-შორის ერთი კარგი მამულია, თ. ყარალაშვილებისა. ეს მამული განთქმულია სპილენძის მადნებით. ამ მადნების ქება ყველას უნდა გაეგონოს. დედა-მიწის ზურგზე ამისთანა მადანს იშვიათად შეხვდება კაციო, სწერს ბ-ნი დავიდოვი ფრანგულად დაბეჭდილს წიგნში, რომელიც 1884 წ. გამოვიდა ოდესაში. სპილენძიც ბევრი ურევია ამ მადნის ძარღვს, სივრცეც დიდი უჭირავს და წყლებიც იმდენია, რომ აქ ორთქლის მაშინები საჭირო არ არისო, რადგანაც იმის მაგიერობას ეს წყლები მუქთად გასწევსო. აი ეს მამული, როგორც ამბობენ, დღეს იყიდებაო. მადნის გარდა თვით მამულში აძლევენ 300,000 მან. სულ ეს მამული 12,000 დღიურია და თითო დღიურის ფასი 25 მანათია გადაკვეთილიო.

⁂ ტფილისის მაზრისათვის ერთი მომრიგებელი სასამართლო კიდევ მოუმატეს. პირველად განზრახვა ჰქონდათ, რომ განყოფილება მომრიგებელი სასამართლოსი სოფ. საგარეჯოში დაეარსებინათ და ეს დიდად სასარგებლოც იქმნებოდა მთელის ივრის ხეობისათვის, რომელიც საკმაოდ მოშორებულია ქ. ტფილისს და საკმაოდაც არის ეს მხარე დასახლებული. ამის მაგიერად განყოფილება სასამართლოსი დააარსეს ისევ ქ. ტფილისში. ივრის ხეობის ხალხის მოლოდინი არ გამართლდა და სიხარულმა ტყუილად ჩაუარა. ახლა ისევ 40 და 45 ვერსზე უნდა იაროს ხალხმა სახამართლოში ხან-და-ხან სულ უბრალო საქმისთვის. ასეთივე საქმე მოსვლია თელავის მაზრასაც. თელავის მაზრასაც ერთი მომრიგებელი სასამართლო განყოფილება მოემატა. წინად ჰფიქრობდნენ ამ განყოფილების დაარსებას ან ყვარელში, ან ენისელში გაღმა მხრისათვის, მაგრამ ეხლა ისევ ქ. თელავში დაუარსებიათ და გაღმა მხარმა მაინც თელავში უნდა იაროს სხვა-და-სხვა საქმეებისათვის: თან მოსცდეს და თან ტყუილუბრალო ხარჯში შევიდეს ქალაქ ადგილას ორსა და ხან სამს დღეს ცხოვრებით. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ალაზნის ხიდი გაფუჭებულია თურმე, და უფრო ცხადად დაინახავთ, რა მოუხერხებელია გაღმა-მხრელისათვის თელავში სიარული.

⁂ გაზ. «Новое Время»-ს სიტყვით, ტფილისის ქალაქის წარმომადგენელი ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება და საუკეთესო ტეხნიკებთანა აქვს მოლაპარაკება იმის შესახებ, თუ როგორ უფრო მოსახერხებელი იქნება, რომ ტფილისში ელექტრონული განათება შემოიღოს.

⁂ როდესაც იარმუკა ვერაზედ გადაიტანეს, ზოგიერთმა იქაურმა სახლის პატრონებმა და სხვათაც დუქნები და სარდაფები გააკეთეს იმ აზრით, რომ სარგებლობა გვექნებაო. ეხლა, რაკი იარმუკა ისევ ადრინდელს ალაგას გადმოვიდა, მედუქნეები და ვაჭრები უკანვე გადმოჰყვნენ, და იქ გამართული დუქნები და სარდაფები დაცარიელდა. მათს პატრონებს სარგებლობის მაგიერ, ზარალი მოუვიდათ. ეს პირები ეხლა, გაზ. »Нов. Обоз.« სიტყვით, ქალაქის გამგეობას სთხოვენ, რომ მათი აშენებული დუქნები და სხვ. ოთხის წლის ვადით დასაფასებელის გადასახადისაგან გაანთავისუფლონ, ვიდრემდე დუქნებს სადგომ ოთახებად გადააკეთებდნენ.

ნაკვესი

ერთს აზნაურს უხეირო შვილი გაეზარდა, ივადა შინ და არას აკეთებდა. მამამ შვილი ქალაქს გამოისტუმრა.

—წადი, შვილო, ხვნა არ შეგიძლიან და თესვა, ან მოჯამაგირედ დადექი, ან ხელობა ისწავლე, ან ვაჭრობას ხელი მოჰკიდეო.

შვილი ჩამოვიდა ქალაქს და ერთ თვეს ოთხი ალაგი გამოიცვალა. მეხუთე ადგილიდამ მამას მოსწერა:

— მამავ!—პეტიგორსკობა იწყება,— თხუთმეტი მანათი გამომიგზავნე, უნდა წავიდეო.

აი, შვილო, თხუთმეტი მანათიო, მოსწერა მამამ, წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. მაგრამ მე რომ შენი ამბავი ვიცი, ერთის კვირის უკან იგავკავებო.

ი. მ.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. მარტყოფი (ტფილისის მაზრა) 5 აპრილს. ტფილისის მაზრაში მარტყოფი ერთი უდიდესი სოფელია.

შინ პარლამენტიდგან გასვლა უთხრეს. იგი არ დათანხმდა თავი დაენებებინა პარლამენტისათვის, რადგანაც ხალხის ამორჩეული ვარო, და ჩემი დათხოვნა არ შეგიძლიანთო. ბრედლომ საქმე იქამდინ მიიყვანა, რომ ერთს დღეს ბოქაულს დაუძახეს და მისი გაყვანა უბძანეს. ბრედლო არ დაჰნებდა, და იძულებული შეიქნენ ჯარის-კაცნი მოეწვიათ და ძალის-ძალად გაეყვანათ; ბრედლო გაუძალიანდა ჯარის-კაცებს, მაგრამ მაინც გააბძანეს... ამისთანა უწესურება თავის დღეში არ მომხდარიყო პარლამენტში, და ბრედლომ თავის საქციელით დიდად შეაწუხა ინგლისის ლორდები. შემდეგ ბრედლომ სამსჯავროს მიჰმართა საჩივარით, რომ პარლამენტში არ მიშვებენო, და მან გადაუწყვიტა, რომ ვიდრე ფიცს არ მიიღებ, ყოველს შენს პარლამენტში გამოცხადებაზედ ხუთასი თუმანი ჯარიმა უნდა გადაიხადოო. წრეულს კი, როდესაც პარლამენტი გაიხსნა და ახალ წევრთ აფიცებდნენ, ბრედლო მივიდა სტოლთან, პასტორმა ფიცის ქაღალდი მისცა, და უწინდელ ურწმუნომ ხმა-მაღლა წაიკითხა ფიცის სიტყვები და ემთხვია ჯვარს და მდიდრულად შეკრულ სახარებას! ესრე აუღელვებლად გათავდა ბრედლოს ისტორია. მართლა მან იწამა სარწმუნოება, თუ სხვა აზრით მოახდინა ეს საქმე, არავინ უწყის, მხოლოდ ინგლისელებს უხარიანთ, რომ არავითარი უწესურება აღარ მოხდება პარლამენტში, რომელიც წმინდა ადგილად მიაჩნიათ.

⁂

პასტერის ცოფის წამლობამ მთელი ევროპა აღძრა; საფრანგეთში ხელ-მოწერა გაიმართა პასტერის სახელის ცოფის საავად-მყოფობის დასაფუძნებლად და თითქმის ერთ მილლიონ ფრანკამდინ მიაღწია. ყოველ დედამიწის კუთხიდგან მოდიან ცოფიან პირუტყვთაგან დაგლეჯილნი პირნი და პასტერი თითქმის ყველას არჩენს. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს სამი რუსი, ცოფიან მგელისაგან დაპრილი, დაიხოცნენ. მიზეზი ამისა ეს იყო, რომ ავად-მყოფები გვიან, მე 15-ტე დღეს, მიიყვანეს და საშინლად დაგლეჯილები იყვნენ თავში, ასე რომ პირი-სახეს ძლივს გაარჩევდით; და ამასაც ამბობენ მგლის დაგლეჯილის მორჩენა უფრო ძნელიაო. პასტერმა რომ ნახა ეს რუსები, მაშინვე აღიარა, რომ ამათი მორჩენა ძალიან ძნელიაო, და იმედი არა მაქვსო. ერთი მკვდარი რომ გასჭრეს, ლოყაში მგლის კბილი უპოვნეს, და აბა ასე დაკოდილს რაღა მოარჩენდა... ჯერ 800 მეტი კაცი მოურჩენია პასტერსა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამას მოწინააღმდეგენი და მტრები ჰყავს. მერე ვინა? გამოჩენილი მწერალი როშფორი?... ამ დაუცხრომელს ჟურნალისტს არა სწამს პასტერის მეთოდა; ის ამბობს, რომ ცოფი აცრა მავნებელიაო; და არც დასაჯერებელიო. პასტერი გვატყუებსო, უბრალო ძაღლის ნაკბენებს არჩენსო და არა ცოფისაგანაო, პასტერი ვიდრე არ დარწმუნდებაო, რომ ადვილად არის ნაკბენი, ხელსაც არა ჰკიდებს სნეულსაო... როშფორის მხარე მიიღო საფრანგეთის განათლების მინისტრის ამხანაგმა ბ-ნმა ტიურკემ, და დაცინვით აღიარა, რომ ნაპოლეონმა III-მემ მარშალ პელისიეს სევასტოპოლში გამარჯვების ჯილდოდ, ჰერცოგ მალახოვის წოდება მისცაო, და ჩვენ პასტერს სმოლენსკის ჰერცოგობა უნდა მივცეთო, რადგანაც სამი სმოლენსკელი რუსი მოჰკლაო!... ლიონის მერის (გუბერნატორის) თანაშემწემ დეპუტატთა პალატაში თხოვნა შეიტანა და ჰთხოულობს «სწავლითა მკვლელობის» აკრძალვას, მით უფრო, რომ იმის სიტყვით, პასტერს ნება არა აქვს იმკურნალოს, რადგანაც მას ექიმობის დიპლომი არა აქვს!... მეორეს დღეს სამკურნალო აკადემიამ საპატიო დოქტორის დიპლომი გაუგზავნა პასტერსა... კაცობრიობის საკეთილ-დღეოდ ყოველს მოღვაწეს მოელის ამისთანა შემთხვევა. დასაბამიდგანვე ესე ყოფილა. რაც უნდა მედიდური და აშკარად დასანახი აღმოჩენა რამ ყოფილიყო, ყოველთვის გამოჩნდებოდნენ პირნი, რომელნიც წინ აღუდგებოდნენ ხოლმე. თუნდ ავიღოთ, მაგალითად, გამოჩენილი და ნეტარ ხსენებული საფრანგეთის სახელმწიფო კაცი ტიერი. 1830 წელსა მან წარმოსთქვა სიტყვა საფრანგეთის პალატაში წინააღმდეგ რკინის გზისა და ამტკიცებდა, რომ არავითარი სარგებლობის მოტანა რკინის გზას არ შეუძლიანო!... მერე, რასაკვირველია, დარწმუნდა რომ იგი სცდებოდა!... ყოველ ქვეყნის კუთხიდგან ექიმებსა ჰგზავნიან პასტერთან მის მეთოდის სასწავლებლად. ყველაზედ მეტად სულთანმა იჩინა თავი ამ შემთხვევაში. მან გაჰგზავნა ექიმი პასტერთან სასწავლებლად, ათი ათასი ფრანკი შესაწირველად პასტერის საავად-მყოფოსთვის, და თვით ოსტატისათვის პირველ ხარისხის მეჯიდიის ორდენი!... გამოჩენილნი გერმანიის ექიმნი კოხი და ვირხოვიც აპირებენ პასტერის ნახვას...

თავდა-პირველად პასტერმა, თუ მკითხველებს ახსოვთ, პატარა ამერიკანელები მოარჩინა. შემდეგაც ბევრი ჰყვანდა ამ მხრის ავად-მყოფები, და ამიტომ პარიჟის ამერიკის კლუბმა სადილი გაუკეთა პასტერსა, რომლის მოთავეც ამერიკის ელჩი სახელად მაკ-ლენი იყო და მშვენიერი შესხმა უთხრა:—«ამერიკანელები სალამს გიგზავნიან თქვენაო, უდიდესს ჰკუის წარმომადგენელს ჩვენის საუკუნისასაო, და ისურვიან თქვენის სიცოცხლის განგრძელებასა. თქვენმა სიცოცხლემ დიდი სარგებლობა მოუტანა კაცობრიობასაო და აჩვენა მაგალითიო, რომ ბოროტება სწავლით, ჯაფით და გარჯილობით აღმოიფხვრებაო!» პასტერმა დიდი მადლობა გადაუხადა მასპინძლებს, და უამბო თავისის მეთოდის ისტორია. «პირველად მინამ სწორედ დავრწმუნდებოდიო ჩემს აზრზედ, ბევრი ვეწვალე და ვიტანჯეო, ბევრი ღამე უძილოდ გავატარეო, და მხოლოდ მაშინ დავმშვიდდიო, როდესაც დავრწმუნდი, რომ მივაგნე წამალსაო. მე არ მეშინიან ჩემის მტრების ცილის წამებისაო, სთქვა გამოჩენილმა მსწავლულმა, რაც უნდა სთქვანო; მე როცა საქმე მიცდია და ისე დავრწმუნებულვარო, ხელს ვერავინ შემიშლისო».—ამერიკანელს ელჩს ბევრი ტელეგრამმა მოუვიდა სადილზედ ამერიკიდგან პასტერის მისასალმებლად, და ერთში ეწერა, რომ ეს არის ეხლა ერთი ყმაწვილი დაიბადაო და სახელად პასტერი დავარქვითო! ეს სწორედ ამერიკანულად მოსვლიათ!..

დონ ენ.

ადგილის სივრცით და მცხოვრებლების რიცხვით მარტყოფს ვერც ერთი სოფელი, საგარეჯოს მეტი, ვერ შეედრება; და აი ეს ამოდენა სოფელი ისეა მიყრუებული, თითქოს დედა-მიწის ზურგზე არც-კია, ჩვენის ქვეყნის სოფლეთა რიცხვში არ ითვლებაო. როდესაც წვრილმანი სოფლებიც კი ცოტად თუ ბევრად სიცოცხლეს იჩენენ, თავის დარდსა და გარამსა, ავსა და კარგსა ხანდის-ხან მაინც აცნობებენ ხოლმე გაზეთებს, მარტყოფი ისეთს განსვენებას მისცემია, რომ ხმის ამოღებას საჭიროდაც არა სთვლის. რა მიზეზია? ნუ თუ ეს ისეთი ბედნიერი კუთხეა, რომ აქ ყველაფერი წესიერად სწარმოებს და და მისი მცხოვრებლები დამტკბარნი არიან ცხოვრების მიმდინარეობით და თავის ბედის ჩარხის ტრიალით? სრულებითაც არა...

ს. მარტყოფი გაშენებულია «იალნოს» მთის ძირში ორ პატარა ხეობაზე. შუა-გულ სოფელში, იმ ადგილას, სადაც ეს ორი ხევი ერთად იყრება, გადაჭიმულია მარტყოფის მშვენიერი სობორო, რომელიც მზესავით დასცქერის სოფლის ქვემო ნაწილს, დაცემულ ჭალა-ვენახებს. ეს სობორო წინედ რუსთავის, ანუ რუსთველის საეპისკოპოსო კათედრად ითვლებოდა. სობოროს ცოტა ქვემოდ კაცის თვალს იპყრობს ორი პატარა კოშკი, რომელნიც ხეხილის ტყეში ისე მოჩანან, თითქოს ორი უზარ-მაზარი ბომი აყუდებულაო. კოშკები ერთი-ერთმანეთს ჩამოსდგომიან პირ-და-პირ და ისე ამაყად უცქერიან ცას, თითქოს თავი მოაქვთო თავის ხნიერებით და ძველის დროის ძლიერებითაო.

ადგილ-მამული მარტყოფში თითქმის სულ სახელმწიფოა, მიწა ნაყოფიერია და ძრიელ უხვი მოსავლიც იცის. მხოლოდ გოლვა და უწყლობა ხშირად სრულიად აქარწყლებს მიწის ნაყოფიერებას და ამ ბოლოს დროს ხომ მწვავ სატკივრად გარდიქცა ეს გლეხ-კაცის ყოფა-ცხოვრებისათვის. თუ ძრიელ წვიმიანი წელიწადია, ღვთის წყალობაა, სიუხვით გაივსება ხოლმე გლეხ-კაცის გული, და თუ გოლვიანი წელიწადია, მაშინ რაც გოლვას გადაურჩება ხოლმე, იმას საქონელი ანადგურებს, რადგან უბალახობის გამო საქონელსაც აკლდება საჭმელი, და ძალა-უნებურად ყანებს ამოვებენ. ოცი მეველე რომ დააყენონ, მაინც ვერას გააწყობენ: საქონელი ცოლშვილს ურჩევნია გლეხ-კაცს და შიმშილით ხომ ვერ გასწყვეტს.

სამოვარი ადგილი დიდი უჭირავს მარტყოფსა, მაგრამ ამაზე გაუთავებელი დავაა გამართული მარტყოფსა და ს. თაქლას შუა. მარტყოფელები ვერ სარგებლობენ სამოვრებით შიშის გამო, რადგან თაქლელი თათრები ყაჩაღურად იქცევიან, და მათის ქურდობით მარტყოფელები ძრიელ შეწუხებულები არიან. რამდენიმე ათასი მანეთი შეუწირავს ამ დავას და დღესაც, მგონი, ამ საქმის წარმოება არც კი დაწყებულა. ამას აუხსნელად ვერც კი გაიგებს მკითხველი. ათ წელიწადზე მეტი იქნება, რაც ეს დავაა და სოფელი თითქმის ყოველ წელიწადს ირჩევდა თავიანთ შორის უფრო გავლენიან კაცებს ვექილებად ამ საქმის წარმოებისათვის, მაგრამ ესენი მხოლოდ ფულებს ჰკრეფდნენ სოფლიდგან, ჩადიოდნენ ქალაქში, ხარჯავდნენ საქეიფოთ და საქმეს კი სრულიადაც არ აკეთებდნენ. ამათზე იმედ-გატეხილი სოფელი, მეორე წელიწადს ახლა სხვებს აირჩევდა, მაგრამ ესენიც, წინანდელების მიხედვით, უფრო მეტს შავ-დღეს აყენებდნენ ბედ-კრულ სოფელს. ყველას ის ედვა გულში, რომ კბილი გაეკრა სოფლისათვის და კარგი ლუკმა გადაეყლაპა. ათის წლის განმავლობაში თითქმის ყოველ წელს იცვლებოდნენ და ყოველთვის ისე არავინ გამოიცვლებოდა, რომ არ გამოერჩომოდა რასმე სოფელს. ეხლა კი რომ სწვნიეს წვენი, მიანებეს საქმეს თავი და ღვთის ანაბარად დასტოვეს, როგორც უნდა გათავდეს ეს საქმეო, ოღონც კი მოვესწროთ ამის დაბოლოვებასაო. თურმე თათრებიც ბევრ ფულს ხარჯავენ ამ საქმეზე და რაღა თქმა უნდა, რომ ეხლა ბურთი და მოედანი იმათ ხელშია.

ამისა და კიდევ ბევრი სხვა მიზეზების გამო, ამ ბოლოს დროს ძრიელ დაეტყო ბევრს აქაურ გლეხს უკან-უკან წასვლა და სახსარი ცხოვრებისა, როგორც თვითონ გულ-საკლავად ამბობენ ხოლმე, აღარ არის. ვინც წინეთ ასობით და ათასობით ატრიალებდა ფულს, დღეს პურიც აღარა აქვს სამყოფი. სიღარიბესთვის ვეღარასფრით ვერ აურთმევიათ თავი...

ვენახები ბლომად არის მარტყოფში, მხოლოდ მოურწყავად ვერაფერს მოსავალს იძლევა. ხეები კი ძრიელ კლებულობენ ზამთრულობით, და ხშირად სრულიადაც შრებიან. ამიტომ ვენახების მორწყვაზე ერთი თავ-პირის მტვრევა და ლანძღვა-გინება არის ხოლმე აქა.

ერთი-ორიოდე სიტყვა მამულების დაყოფის თაობაზე მეტი არ იქნება. ყველაზე უწინ მარტყოფში ასტეხეს შარშან ადგილ-მამულის დაყოფა და ერთმანეთში დათანასწორება სახელმწიფო ხარჯისდა-კვალად. ეხლა ამორჩეული პირები ყოველ დღე მუშაობენ, ზომვენ ადგილებს, ჰყოფენ და აძლევენ გლეხებს ბარათებით; მაგრამ ვაი ამისთანა გაყოფას! ჩხუბისა და ლანძღვა-გინების მეტს, მზომავების და გლეხების შუა ვერაფერს გაიგონებს ეხლა აქ კაცი. პირველნი ისე თავ-გასულები არიან და ისე ურცხვად იქცევიან, რომ გლეხი, თუ არაფერი გადააყლაპა და ან სხვა ნაირად პატივი არა სცა, ისეთ ალაგს გაჰყავთ, რომელიც არც კაცისა არის და არც ღვთისა; გინდა თუ არა ესა და ეს ადგილი უნდა მოგიზომოთო და შენი ნაქონი ადგილი სხვას უნდა მივსცეთო. აბა ყველას სად შეუძლია იმათი პატივის ცემა და დახვედრა! ამიტომ, ჩვეულებრივ, ისევ ღარიბი, შეუძლებელი, ანუ მართალი კაცი უფრო შემძლებელის და ცბიერის კაცის ლუკმად ხდება. ბევრჯელ მომხდარა, რომ ჯერ მიეზომოთ რომელიმე ადგილი გლეხისათვის და მერმე, რამდენიმე ხნის შემდეგ, რაკი დაუნახავთ თავიანთვის უფრო სასარგებლოდ, ისევ ჩამოერთვათ, სხვისთვინ მიეცათ,—და პატრონი კი უალაგოალაგას გაეგდოთ. მაგალითები ამ გვარის მოქმედებისა ისე ბლომად არის, რომ მათი ჩამოთვლა მეტად შორს წავა. აქაურები ამბობენ ხოლმე: წლეულს მზომავებისთვის სწორედ «პახოდობა» არისო. ნეტავ ცოტა მაინც იყოს დაწესებული იმათ გასამრჯელოდ! ლიტრაზე ოთხი მანათია და სულ გასაყოფად 200 ლიტრაზე მეტია.

ბევრს სიცუდესთან ერთი ბუნებითი სიკეთეც გააჩნია ს. მარტყოფს. ეს სიკეთე ის არის, რომ მარტყოფი არა ყიდულობს პურისათვის მარილს და არც უმარილო პურს აცხობს, როგორც ზემო იმერეთში იციან. აქ მარტყოფის თავში, მთის «იალნოს» ძირში რამდენიმე ალაგას ძრიელ მლაშე მარილის წყაროები გამოდის და ამ „ვედას“ ურევენ ნახევრად წყალში და ამითი აცხობენ პურს. ვინც ძრიელ ღარიბია და მარილის ყიდვის თავი არა აქვს, ის დუღილით აშრობს ვედას და მარილს ამ ნაირად შოულობს სხვა საჭიროებისთვინაც.

ამითი ერთი კარგი შეღავათი აქვსთ მარტყოფელებს სხვებთან შედარებით და ამას არც კი აფასებენ.

კარგი იქნება, რომ მიაქცევდნენ ამას ყურადღებას და გამოიკვლევდნენ წყაროებს და იმ ადგილებსაც, სადაც წყაროები გამოდიან, იქნება მარილის მადნები აღმოჩნდეს ჩვენ ქვეყანაში და სხვა ბუნების სიმდიდრეს კავკასიისას ესეც მიემატოს.

წყალ-ძვირელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბალკანის ნახევარ-კუნძულიდამ კიდევ თოფის წამლის სუნი მოდის, ოსმალები და ბერძნები თოფის სროლით ერთმანეთს სალამს აძლევენ.... მაგრამ ბევრს გაზეთს კიდევ მტკიცედა სწამს, რომ საქმე უომრად გათავდებაო. იმედი კიდევ იმ ევროპაზედა აქვთ, რომელმაც აქამდისინ მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ ვერა მოახერხა რა. აი მაგალითად გაზეთი «Русскій Курьеръ»-ი რას ამბობს.

> რა უნდა გააკეთოს ევროპამაო?—კითხულობს გაზეთი და თვითონვე ამ გვარ პასუხს იძლევა: იმის მაგიერ, რომ საბერძნეთს ულტიმატუმები უგზავნოს, მუქარა უთვალოს, თუ არ დასდგები და არ დასჩუმდები, ყველა შენზე ხელს აიღებსო...

⁂

ჟურნალ «Гражданинъ»-მა ხმა გაავრცელა, ვითომ ოთხ მინისტრს რჩევა ჰქონოდეს და გადაეწყვიტოს საგუბერნიო და სამაზრო მმართველობაში ძირეული ცვლილების მოხდენა. ამაზედ გაზეთი «Современныя Извѣстія» შემდეგ საყურადღებო შენიშვნას იძლევა:

> თუ ლაპარაკი ადმინისტრაციაზე და გუბერნატორის უფლების გაძლიერებაზეა, ჩვენ ეს კარგად არ გვესმის, გუბერნატორს თავის გამგეობაში ეხლაც სრული უფლება, სრული ნება აქვს მიცემულიო, მაშ კიდევ რაღა გაძლიერება უნდა. ეტყობა მაშ სახეში ისა აქვთ, რომ სხვა გამგეობანიც გუბერნატორის ყურადღების ქვეშ იყოს, და ან კიდევ გუბერნატორის უფლება იმოდენად გააძლიერონ, რომ ის თავის ნებაზე იქცეოდეს...

რამდენად მართალია ეს ხმა, ჩვენ ვერას ვიტყვით, პასუხი თვითონ «Гражданинъ»-მა აგოს.

⁂

ჩვენ არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი ესრედ წოდებულ ვექილებზე, რომელთაც რუსები «აბლოკატებს», «დროვოკატებს» და «ბრეხუნცებს» უწოდებენ. ყველა ერთ-ხმივ აღიარებს, რომ ამ წვრილმან ვითომ ხალხის ინტერესების დამცველს დიდი ვნება მოაქვს იმავე უმეცარის ხალხისათვის, მაგრამ გლეხი კაცი მაინც ძალა-უნებურად ამათ მიჰმართავს ხოლმე გაჭირვებაში. რა შემწეობას უჩენენ ეს ვაჟ-ბატონები, აი შემდეგი მაგალითიდამ სჩანს:

> ერთს სამიკიტნოში,—მოგვითხრობს გაზეთი «Курскій Листокъ»-ი, ვიღაცა «აბლოკატს» არზა დაუწერია გლეხისთვის. არზაში თურმე ლოცვები: «მამაო ჩვენო» და «გიხაროდენი» ყოფილა დაწერილი და ამის ბოლოს კიდევ დაუმატებია, ამ არზის მომრთმევს 25 ცხელ-ცხელი როზგი უბოძეთო? მომრიგებელ - მოსამართლეს, რომელსაც უმეცარმა გლეხმა ეს არზა მიართვა, ბრძანება მიეცა, რომ ამ არზის დამწერი უეჭოთ ეპოვნათ და პასუხის გებაში მიეცათ მოტყუებისათვის. ეს უადგილო ოხუნჯობა იმითი გათავდა, რომ ოხუნჯმა «აბლოკატმა», მოსამართლის გარდაწყვეტილებით, სატუსაღოში თავი ამოჰყო.

რუსეთი

იანვრის განმავლობაში სახელმწიფო შემოსავალი ყოფილა 59.419.296 მან. შარშან კი ამავე თვეში შემოსავალი ყოფილა უფრო მეტი 14.516.279 მანეთით, დახარჯულა წელს იანვრის განმავლობაშივე 79.860.950 მან. შარშან კი დახარჯულა ამაზე ნაკლები 6.161.251 მანეთით.

ფინანსთა მინისტრს კანონ-პროექტი წარუდგენია სახელმწიფო რჩევისათვის იმის თაობაზე, რომ უფრო მეტს პასუხის-გებაში იყვნენ საქალაქო ნდობის საზოგადოებათა მმართებლობისა და დამფასებელის კომისიის წევრნი იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოება იზარალებს გადამატებულის დაფასებისა და დამატებით სესხის გაცემის გამო. ამ აზრით განუზრახავთ, 1) რომ მმართველობა მიეცეს პასუხის გებაში, თუ სიმართლითა და კანონიერად არ იყოს დაფასებული რომელიმე მამული, 2) დამატებითი სესხი გაიცეს მხოლოდ მაშინ, როცა ერთი ნაწილი ვალისა რიგზე იქმნა გარდახდილი, თუ არა და პასუხის გებაში ამისათვის ისევ მმართველობის წევრნი ჩავარდებიანო, და 3) მსესხებელთა საზოგადო კრების მაგიერ შესდგეს ხოლმე კრება რწმუნებულთა და ამ რწმუნებულთა არჩევანისათვის საარჩევნო კრება დაინიშნოს სამს წელიწადში ერთხელაო.

მომავალს წელს ახალის სახის ქაღალდის ფული შემოვა ხმარებაში რუსეთშიო.

აპრილის გასულს, ან მაისის დამდეგს შავს ზღვაში სევასტოპოლთან ჩაუშვებენ სამს ჯავშნიანს ხომალდსაო. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ექმნება...

უცხოეთი

გლადსტონის სიტყვა

(შემდეგი *)

ჩემის აზრით, ორი ხანა უნდა აღვნიშნოთ ირლანდიის ცხოვრებაში, მას აქეთ, რაც გამოიცა ოქმი ირლანდიისა და ინგლისის კავშირის თაობაზედ. ერთი ხანაა 1800 წლიდგან 1832 წლამდე და მეორე 1832 წლიდამ 1885 წლამდე. პირველ ხანაში 11 წელიწადმა ისე გაიარა, რომ ძალ-დატანების კანონ-მდებლობა არ გვიხმარია, მეორე ხანაში კი 52 წლის განმავლობაში მაშინ, როცა ლიბერალურ კანონებს გაარსებდით ჩვენთვის, 50 წელიწადი სულ იმას მოვახმარეთ, რომ ძალ-დამატანებელი კანონ-მდებლობა შეგვეტანა ირლანდიაში (სმენა იყოს, სმენა.) განა ეს ამბავი საკმაო არ არის, რომ ჩვენ იქამდე მივედით, როცა საჭიროა შევსდგეთ, მიმოვიხედოთ გარეშემო და დავკვირვებით გამოვიკვლიოთ ჩვენი ყოფა (სმენა იყოს, სმენა). ძალ-დატანება და სასტიკი კანონ-მდებლობა, რომელსაც ჩვენ მივმართავდით ხოლმე, ფუჭი და ამაო გამოდგა. (პარნელელები ტაშს უკვრენ). და თუ ძალ-დატანება საჭიროა, საქმეს მაინც უნდა ჰშველოდეს. მე ვაქებ მთავრობას, რომელიც ჩვენ წინად იყო, რადგან მან იგრძნო ესა და დაასკვნა 1885 წელს, რომ სასტიკი და ძალდამატანებელი კანონ-მდებლობა გამოუსადეგარიო. სამწუხაროდ, იმაშიაც დავრწმუნდით, რომ ჩვეულებრივი კანონიც ვეღარას გვიშველის ეხლა. დავანებეთ თუ არა სასტიკ ღონის-ძიებას თავი, და მარტო ჩვეულებრივს კანონს დავყვენდენით, მკვლელობანი ადგილ-მამულისა გამო გაოთხ-კეცდა. თუ მართლა ასეა, როცა წარბ-შეუხრელად გადვგვართ სასტიკის კანონების გზას, რაღა უნდა იყოს მაშინ, როცა ვყოყმანობთ და არ ვიცით, საით გადავიხაროთ—ჩვეულებრივისა თუ სასტიკის კანონისაკენ? მე უკვე ვსთქვი, რომ ჩვენმა წესმა გამგეობისამ, იმ სახისამ, როგორც მე განვმარტე, არაფერი ნაყოფი არ მოიტანა. ეს ამბავი რომ ჩვენ თავს ათასი დავუმალოთ, მთელის ქვეყნის წინაშე ხომ ვერ დავმალავთ და ვერ დავმალავთ. ნუ თუ უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდება სხვა გვარი კანონი ძალ-დატანებისა, როცა წარმოდგენითაც კი არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, როგორი კანონი უნდა იყოს ის ახალი ძალ-დამატანებელი კანონი? მე შემიძლიან, მართლა, წარმოვიდგინო ისეთი შემთხვევა, რომელსაც ისტორიაცა ჰმოწმობს, როცა ამ გვარი ძალ-და-ძალობის კანონები, მეტად სასტიკი, მეტად სწრაფი და მტკიცე შეიძლებოდა და იყო კიდეც ნაყოფიერი. მაგრამ რა დროს და რა გარემოებაში? ამისათვის ორი რამ არის საჭირო: სახელდობრ, განუსაზღვრელის უფლების მმართებლობა და საიდუმლო წარმოება სახელმწიფო საქმეებისა. მხოლოდ ამ ორის პირობით შეიძლება ნაყოფი მოიტანოს იმ სასტიკმა კანონებმა, რომელზედაც მე ვლაპარაკობ. განა შეიძლება განა ამ გვარი კანონები მოიყვანო აღსრულებაში ცხადად, დღისით მზის ნათელზე (მოწონების ხმა) და შეუძლიანთ განა ასეთი კანონები ამოქმედონ ირლანდიელების წინაამდეგ ინგლისელებმა და შოტლანდელებმა, (არა, არა!) ამ ორმა ერმა, ამერიკელთ გარდა, ყველაზე მეტად მოყვარულმა და პატივისმცემელმა თავისუფლებისამ? (მოწონების ხმა ისმის.) არა, ინგლისისა და შოტლანდიის ერი თავის დღეში ამ გვარ ღონის-ძიებას არ მიჰმართავს, არ იკადრებს იმ დრომდე, ვიდრე ყოველი სხვა ღონე ხელიდამ არ გამოეცლება. (ტაშს უკვრენ გლადსტონს და ხმა-მაღლა უწონებენ ლაპარაკს.) ხოლო, ეხლა ეს ვკითხოთ, გსცადეთ კი ყოველივე სხვა ღონის-ძიებანი? (არა, არ გვიცდია, გაიხმაურა პალატამ.) არა, ზოგიერთი მათგანი კსცადეთ ჩვენ, მაგრამ ჩვენ არ გვიცდია სხვა სახსარი, რომელიც არ ეუცხოვება კაცობრიობის გამოცდილებას და რომელიც კარგად იციან სხვა ქვეყნებში. იქ უცდიათ ეს სახსარი ამ გვარს შემთხვევაში და მძიმე და ძნელი საქმე გადუწყვეტიათ ცოტად თუ ბევრად უფრო ბუნებურის და მარტივის, თუმცა ყოველთვის არა ადვილის გზით. ეს გზა ის არის, რომ კანონისთვის უცხო ფერი ჩამოუცლიათ და ადგილის ფერი და ვითარება მიუნიჭებიათ. (მოწონების ხმა პარნელელებს შორის). რამდენადაც მე ვიცი, და თუ ირლანდიის ერის უმრავლესობას მივიღებთ სახეში, ირლანდიას ჰგონია, რომ ეს გზა შეიძლება გაიკაფოს და სხვა ქვეყნების გა-

---

*) იხილე «ივერია», № 83.

მოცდილებაც ამტკიცებს ამას. ირლანდიის მდგომარეობა, თუმცა მისი წარმომადგენლობა პალატაში ნაკლებ არ არის, ვიდრე ინგლისისა და შოტლანდიისა, მაინც სრულიად სხვა ნაირია, ვიდრე ინგლისისა და შოტლანდიის მდგომარეობაა. ინგლისი, იმის წყალობითა, რომ მეტი ძალა აქვს და დიდი უმრავლესობა ჰყავს პალატაში, თავის საკუთარ კანონებსა სდებს ისე დამოუკიდებლივ, თითქო არავითარი კავშირი არა აქვს სხვა ქვეყნებთანაო. («არა, არა, გაისმა ხმა.) შოტლანდია, პატარა ქვეყანაა, უფრო პატარა, ვიდრე ირლანდია, მაგრამ ისეთის მამაცურის სულის პატრონია, რომ თითქმის არც ერთხელ ხანგრძლივის ისტორიულის ცხოვრების განმავლობაში იმდენად სუსტი არა ყოფილა ინგლისზედ, რომ მისი თავისუფლება დაეჩაგრათ. აი ამ შოტლანდიას კეთილ-გონიერად მიანიჭა ინგლისმა უფლება და ესევე პალატა აქეზებდა, თავისი საკუთარი კანონები დაედგინა ხოლმე, ისეთი ნაყოფიერი კანონები, თითქო ექვს ჯერ მეტი წარმომადგენლობა ჰყოლოდეს პალატაში. (სმენა იყოს, სმენა). ამის შედეგი ის იყო და არის, რომ ინგლისელებმა იციან, საიდამ მომდინარეობს იმათთვის მთავარი წყარო, ანუ სათავე კანონისა, შოტლანდიელებმაც იციან, იმათის კანონებისათვის სად არის ეს წყარო და დასაბამი, მხოლოდ ირლანდიის ერმა კი არ იცის ირლანდიის კანონებისათვის, სად არის სათავე წყაროსი. განა ეს სასაცილო არ არის ჩვენის დიდის, კეთილ-შობილის და მსოფლიო იმპერიის ერთიანობისათვის? (სმენა, სმენა!) უწინარესს ყოვლისა უნდა გაკეთდეს რამე. აუცილებელი ძალა მოითხოვს, რომ განათლებულის ცხოვრების თავ-და-პირველი ვითარება აღვადგინოთ ირლანდიაში, სახელდობრ, უნდა კანონებმა თავისუფლად იმოქმედონ, ყოველს კერძო კაცს უნდა შეეძლოს თავისუფლად ისარგებლოს კანონის მიერ მინიჭებულის უფლებით, ხალხი უნდა ენდობოდეს და თანაუგრძნობდეს კანონს. უამისოთ ვერც ერთს ქვეყანას ნამდვილად განათლებული ქვეყანა ვერ დაერქმევა და იმ სიკეთეს ვერ იხილავს, რა სიკეთესაც ყოველი განათლებული საზოგადოება უნდა მისდევდეს.

(შემდეგი იქნება)

გასართობი

ქალების ცრემლი. ახალ-გაზდა მეუღლემ ერთის პროფესორისამ მოიწადინა ცრემლებით მოელბო თავისის ქმრის გული და დაიწყო ხმა-მაღლა ტირილი, მაგრამ ვერ აუხდა საწადელი, ქმარმა გულ-გრილად უპასუხა: თუ ღმერთი გწამს, თავი შეიკავე, შენი ცრემლები ჩემზედ ვერ იმოქმედებენ, მე ქიმიურად გამოვიკვლიე და დავრწმუნდი, რომ ქალის ცრემლში მომეტებული ნაწილი ცარიელა წყალიაო.

გაზეთი «ცხვირსახოცი» («*Packet handkerchief*») გაზეთი «ცხვირსახოცი» გამოდის ნიუ-იორკში. ეს გაზეთი იბეჭდება მიტკლის ნაჭერზე, ცხვირსახოცზე. წამალს, რომლითაც ეს გაზეთი იბეჭდება, არც სუნი აქვს და არც სვრის მიტკალს. წაკითხვის შემდეგ მკითხველი ცხვირსახოცად ხმარობს. ამ გვარად მისი შეძენა საჭიროც არის და სასარგებლოც. ფასი მთელის წლისა, ყველა 365 №№, იმოდენა აქვს, რომ მანათზედ ხუთ შაურ ნაკლები უჯდებათ,—იმ ხარისხისა და იმდენივე ხელსახოცი რომ იყიდონ. ამ გაზეთს ბევრი ხელის-მომწერი ჰყავს თურმე და დიდი გასავალი აქვსო.

რითი იზიდავენ ამერიკელი გაჭრები მუშტარს. ერთი ამერიკელი ქარხანა, რომელიც უცხვიროებს ცხვირებს უკეთებს, ამ გვარად იქებს თავს: «ამას წინად,—აცხადებს ეს ქარხანა,—ერთი კაცი ცეცხლში დაიწვა; მთელი მისი სხეული თითქმის ნახშირად იქცა, ვეღარ იცნობოდა, ვინ იყო და ვინ არა.... თუ მას ჩვენს ქარხანაში გაკეთებული ცხვირი არა ჰქონოდა, რომელიც ისეთის ნაწილებით არის შედგენილი, რომ ცეცხლი არ უდგება. ცხვირის ნესტოში განსვენებულმა ამოაჭრევინა თავისი სახელი და გვარი... სწორედ კარგი შემთხვევაა! დამწვარი მეტად შეძლე კაცი იყო და თუ არ ცხვირი, ვერავინ გაიგებდა იმის ვინაობას და ვერც მემკვიდრეები მიიღებდენ სამკვიდროს. მაშ, მოგვმართეთ ჩვენ, უცხვიროებო! ჩვენი ქარხანა არის ამა-და-ამ ადგილასაო».

აი კიდევ ერთი თავისებური მუშტრის მისაზიდავი საშუალება. ამერიკის ერთს ქალაქის თეატრში შევიდა ვიღაც უცნობი ბატონი და პირველს რიგში დაჯდა. როგორც ფარდა ასწიეს და სცენაზედ გამოვიდა ცნობილი არტისტი-ქალი, რომელიც უმთავრესს როლსა თამაშობდა, უცნობმა ამოიღო ჯიბიდგან დამბაჩა და მოთამაშე ქალს დაუმიზნა. თეატრში მყოფი ხალხი წამოდგა და მისწვდა ამ კაცს, უნდოდათ დამბაჩა წაერთმევინათ და მითი გადაერჩინათ ქალი, მაგრამ მიუახლოვდნენ თუ არა, ქალისკენ გაწვდილი დამბაჩა, მათ მოუბრუნა და მაღალის ხმით წარმოსთქვა: «შიგ შუბლში დაგცემთ, ვინც პირველი მომიახლოვდებითო». ყველანი თითქოს გაშეშდნენ თავის ადგილას. უცნობმა შემდეგ ერთს დიდ-კაცს ლოჟაში შეუშვირა დამბაჩა. ყველას, ვისკენაც კი დამბაჩას გაიშვერდა, საშინლად უთრთოდა შიშით გული: ქალებს წივილ-კივილი გაჰქონდათ, კაცები კი პირი-სახეზედ ხელებს იფარებდნენ და ისე მოელოდნენ თავის აღსასრულის ჟამს..... უცნობმა უეცრივ დამბაჩა თავისკენ მიიბრუნა. რასაკვირველია, ამ დროს წარმოდგენა შემდგარი იყო, და ყველას ამ კაცისკენა ჰქონდა მიქცეული ყურადღება, რომელიც გიჟი ეგონათ. ამასობაში უცნობმა ჩახმახ-ამართული დამბაჩა შუბლზედ მიიდო, შემდეგ საფეთქელთან მიიტანა, დასასრულ, პირში ჩაიდო და......დამბაჩის ლულას უშველებელი ნაჭერი მოაკვნიტა. ხალხი მეტად გაოცდა ამ ამბით. ამავე დროს გალლერეიდამ პარტერში გადმოყარეს პატარა კარტოჩკები, რომელზედაც გამოცხადებული იყო კონდიტრის გვარი და გამოსახული იმისთანავე დამბაჩა. ეს დამბაჩა შოკოლადისა გამოდგა. ამ შემთხვევამ დიდი მოქმედება იქონია თურმე საზოგადოებაზე და მეორეს დღეს ყველას—ქალსა, თუ კაცს შოკოლადისაგან გაკეთებული დამბაჩა ეჭირა ხელში.

* * *

დეპეშა

17-ს აპრილს

პეტერბურგი. ორშაბათიდამ, 21 აპრილიდამ პეტერბურგის კერძო კომერციული ბანკები მისცემენ საყოველ დღეო ანგარიშისათვის მიბარებულს ფულზე: დასახელებულია, თუ მარტივი, აგრეთვე გადა-დაუდებლად შეტანილს ფულზე—2 1/2% უწინდელის 3%-ის მაგიერ.

ათინა. დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი მოელიან დელიანისის პასუხს ულტიმატუმზე, და გამოუცხადებიათ, თუ უარი შემოგვითვალაო ათინიდამ გამოვალთ გემებში გადავალთო.

რუსეთის კლიპერი «პლასტუნი» შეუერთდა ერთა-შორისს ფლოტსა. ათი უცხო ქვეყნების გემი დადის პელოპონეზის ნაპირას აღმოსავლეთისაკენ. ეხლა ეჭვი არ არის, რომ ყველა ხუთს სახელმწიფოს, მათ შორის რუსეთსაც, მოსწონს თავის წარმომადგენელთა ქცევა. საფრანგეთის ელჩმაც განუმარტა საბერძნეთის მმართებლობას, რომ საბერძნეთს იმედი არ უნდა ჰქონდეს ყოველ შემთხვევაში საფრანგეთისა და რომ თუ კიდევ ურჩობას გასწევთ საფრანგეთი იძულებული იქმნება დანარჩენ დიდ სახელმწიფოებს მიემხროსო.

18-ს აპრილს

პეტერბურგი. გამოცხადდა წესები ტყეების დაფასებისა და ზედამხედველობისა იმ მამულებში, რომელნიც დაგირავებულ უნდა იქმნან თავად-აზნაურთათვის დაწესებულ სახელმწიფო სადგილ-მამულო ბანკში.

ოფიციალური დეპეშა იალტიდამ იუწყება, რომ ოთხშაბათს, უმაღლესის სადილის შემდეგ, ოსმალოს საგანგებო ელჩს ედჰემ-ფაშას ებოძა ორდენი წმინდის ალექსანდრე ნეველისა, და სხვათაც მის ამალაში მყოფთა პირთაც ებოძათ ორდენები. გუშინ ედჰემ-ფაშა წავიდა ლივადიაში, რათა მადლობა მოახსენოს ხელმწიფე იმპერატორს და გამოეთხოვოს უცხოთა საქმეთა მინისტრს და სხვათა დიდ სარისხოვანთა გვამთა.

ათინა. იმ ულტიმატუმის პასუხად, რომელიც დიდთა სახელმწიფოთა სახელით გუშინ ჩააბარეს, დელიანისმა შეუთვალა, ჩემს ადრინდელ ნოტაში უკვე გამოცხადებულიაო, რომ საბერძნეთმა მიიღო რჩევა საფრანგეთისა, რომელშიაც იგულისხმება თოფ-იარაღის აყრა და ამისათვის ვადა არ არის დადებულიო.

სტამბოლი. პორტამ ცირკულიარი გაუგზავნა დიდთა სახელმწიფოთა. ამ ცირკულიარში მადლობას უთვლის, რომ დიდი შრომა მიიღეს მშვიდობიანობის დასაცველად და ამასთან აცხადებს, რომ მხოლოდ ურომელოდ და დაუყოვნებლად იარაღის აყრა საბერძნეთის მიერ დააკმაყოფილებს ოსმალეთსა და იძულებულ გახდის დაუთმოს თავისი უცილობელი უფლება და არ მოსთხოვოს საბერძნეთს საზღაური იმ დიდის მსხვერპლისა, რომელიც ოსმალეთს წილად ჰხვდა საბერძნეთის შეთოფ-იარაღების გამო.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14.
ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,
ამაღლება მოდის—22 მაისს, სულის წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

აპრილი 30 დღით არის

13 დღე კვირა. წმ. აღდგომა ქრისტესი. წმ. მოწამე არტემონისა. სომეხთა და ფრანგთა: წმ. აღდგომა. ხსნილი ქართველთა ოთხშაბათ-პარასკევსაც კვირა-ცხოვლამდე, სომეხთა—ამაღლებამდე. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—51. ტფილისში მზე ამოდის 5—5; ჩადის 6—52. მთვარე ამოდის 12—31 ნღ. ჩადის 10—16.

14 დღე ორშაბათი. აღდგომის მეორე დღე. წმ. მარტინისა, ხსოვნა წმ. მამათა, მოწყვედილთა დავით-გარესჯის უდაბნოში 1617 წ. სომეხთა. ჰიპატაკ მერელოც. კათოლიკ. ბრწყინვალე ორშაბათი ვალერინისა და მაქსიმესი. შობა მ. იმპ. უმაღლესობისა დიდის მთავრის ნიკოლოოზ მიხეილისძისა (27 წლისა). ჭეშმარიტი შუა-დღე 12-57—41. ტფილისში მზე ამოდის 5—3; ჩადის 6—53. მთვარე ამოდის 1—12 ნღ. ჩადის 12—10.

15 დღე სამშაბათი. წმ. მოც. არისტარხოსი, ქალ. მოწ. ანასტასია, წმ. სუქიასი და მოყმეთა მისთა. წმ. მამათა მოწყვეტილთა დავით გარესჯის უდაბნოსა. მთვარე 24 დღისაა. კათ. კრესცენტიისა და ანასტასიის. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—31; ტფილისში მზე ამოდის 5—2, ჩადის 6—54; მთვარე ამოდის 1—48 ნღ., ჩადის 0—5.

16 დღე ოთხშაბათი. წმ. ქალ. მოწ. აღაპია, ირინა და სხვა. კათ. კალიკსტისა. სტ. სოვეტ. კოვალენსკი დაინიშნა რუსეთის მინისტრად საქართველოს მეფის გიორგის კარის წინაშე 1799 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—22; ტფილისში მზე ამოდის 5—1, ჩადის 6—55; მთვარე ამოდის 2—21 ნღ. ჩადის 1—1.

17 დღე ხუთშაბათი. ეპისკ. სვიმეონ, აკაკისა. კათ. რუდოლფისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—13. ტფილისში მზე ამოდის 5—0. ჩადის 6—56, მთვარე ამოდის 2—53 ნღ. ჩადის 1—58.

18 დღე პარასკევი. ღირს. ივანე კოსმა. კათ. აპოლონისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—5. ტფილისში მზე ამოდის 4—58, ჩადის 6—57; მთვარე ამოდის 3—23 ღ. ჩადის 2—56.

19 დღე შაბათი. ღირსისა იოანესი, ტრიფონისა სომ. თავის კვეთა წმიდ. იოვანე ნათლის-მცემელისა. კათ. ლეონისა. მუსულ. 27 დღე თთვისა რეჯაბ 1303 წ. ჰიჯრისა. მაჰმადმა თავის თავი წინასწარმეტყველად გამოაცხადა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56—57; ტფილისში მზე ამოდის 4—57; ჩადის 6—58, მთვარე ამოდის 3—53 ნღ., ჩადის 3—47.

20 დღე კვირა. კვირაცხოვლობა ღირს. თეოდორე, ანასტასია. კათ. ვიქტორისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56—50; ტფილისში მზე ამოდის 4—55, ჩადის 6—59; მთვარე ამოდის 4—14 ნღ., ჩადის 4—51.

21 დღე ორშაბათი. იანუარია, სოკრატ დიონოსისა. კათ. ანსელმისა, სიმეონისა. მეფე იმერეთისა სოლომონ ფიცსა სდებს რუსეთის წინაშე ქვეშევრდომობაზედ და ამის შემდეგ იმერეთსა და სამეგრელოში შედის რუსის ჯარი 1804 წ. ჭეშმარიტა შუა-დღე 11—56—44; ტფილისში მზე ამოდის 4—55, ჩადის 7 საათ.; მთვარე ამოდის 4—39 ნღ.; ჩადის 5—47.

* * *

მაზანდა.

1 აპრილიდამ 1-ლ მაისამდე.

1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. სა.	2 1/2 „
„ „ 2 „	2 „
ჯვარის მამის პური ნისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4 1/2 „
მე-2 ხარისხისა	3 „
მე-3 —	2 1/2 „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 „
2 —	7 „
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 „
ცხვრის ხორცი	9 „

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. დ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. დ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. „ — „ დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31-ღამე დგომით.
ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკ-და კერჩში შევლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ქ. ქუთაისს
დუპლაკის და კ° კირის ქარხანაში
იყიდება საუკეთესო კირი
ამ ფასად:

1 კუბიკური საჟენი წყალ-დაუსხმელის კირისა . . . . . 75 მ.
1 კუბიკური საჟენი წყალ-დაუსხმელისვე კირისა ვაგონში დადებით 78 მ.

მსყიდველების თხოვნისამებრ ამ ფასად კირი შეიძლება გაიგზავნოს ვაგონებით ქ. ტფილისს, ბათუმს, ფოთს და ამიერ-კავკასიის რკინის-გზის ყველა სტანციებზე. გადასატანი ფასი მსყიდველმა რკინის-გზის მაზანდის მიხედულობით უნდა გამოგზავნოს.

ბათუმში კირის გასყიდვის აგენტად არის ბ-ნი ნ. შადინოეი; იქვე არის კირის საწყობი. (12—11)

გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლებში აჩვენებენ ჯერ ტფილისში უნახველს კერესუნდიდგან ჩამოსულს

უშველებელის ტანის 18 წლის კაცს.

ამ უზარ-მაზარს ადამიანს სიმაღლე 3 არშინი და 5 1/2 ვერშოკი აქვს, სისქე 141 სანტიმეტრი, 11 ფუთს იწონს, თავის სიმრგვლე 67 სანტიმეტრი აქვს, ტანის სივრცე ხელების ბოლოებს შუა 245 სანტიმეტრი.

დარბაზი ღიაა ყოველ-დღე დილის 10—4 საათამდე, საღამოს 6—10 საათამდე.

ფასი ღირს 50 კაპ., ყმაწვილები და ჯარის კაცნი იხდიან ნახევარს—25 კაპეიკს.

სპირიდონ სურმელი.
(2—2)

Дозволено цензурою Тифлисъ 18 апрѣля, 1886 г.
ექ. ხელაძის სტამბა თავის საკუთ. სახლებში.
რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.